საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისათვის წარსადგენი სამოსამართლო გამოცდილების მქონე მოსამართლეობის კანდიდატის შეფასების ფორმა

მოსამართლეობის კანდიდატის *ბესარიონ ალავიძის* ---------- **შეფასების შედეგი:**

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით	
მოსამართლეობის კანდიდატი არ აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☒

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით		
კრიტერიუმი	**მიღებული ქულა**	**მაქსიმალური ქულა**
სამართლის ნორმების ცოდნა	**16**	**20**
სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია	**16**	**20**
წერის უნარი	**17**	**20**
ზეპირი კომუნიკაციის უნარი	**14**	**15**
პროფესიული თვისებები, მათ შორის, ქცევა სასამართლო დარბაზში	**15**	**15**
აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა	**4**	**5**
პროფესიული აქტივობები	**5**	**5**
ქულათა ჯამი	**87**	**100**

თემურ გოგობია

22.11.2021 წელი

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი თემურ გოგოხია

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისათვის წარსადგენი სამოსამართლო გამოცდილების მქონე მოსამართლეობის კანდიდატის ბესარიონ ალავიძის - შეფასების დასაბუთება

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის შესარჩევ კონკურსში მონაწილე კანდიდატის - ბესარიონ ალავიძის შეფასების დასაბუთების შედგენის პროცესში ვიხელმძღვანელე ,,საერთო სასამართლოების შესახებ'' საქართველოს ორგანული კანონის კანონის 34^1 მუხლის მე-11 პუნქტით დადგენილი წესით:

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით		**კომენტარი**
მოსამართლეობის კანდიდატი არ აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐	კეთილსინდისიერების კრიტერიუმით შეფასებისას კანდიდატი შევაფასე ,,საერთო სასამართლოების შესახებ" ორგანული კანონის 36^3 მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული კეთილსინდისიერების კრიტერიუმის და ორგანული კანონის 35^1-ე მუხლის მე-15 პუნქტის მიხედვით და აღნიშნულ მახასიათებელთა შეფასების და შეჯერების საფუძველზე შევადგინე შეფასების დასკვნა კანდიდატის კეთილსინდისიერების კრიტერიუმის შესახებ. კეთილსინდისიერების ყოველი მახასიათებლით შეფასება ეფუძნება კანონით განსაზღვრულ ამ მახასიათებელთა შემადგენელ კომპონენტებს, ასევე საჯარო მოსმენის შედეგად და შესაბამისი სტრუქტურული ქვედანაყოფის მიერ კანდიდატის შესახებ მოძიებულ ინფორმაციაში გადმოცემული გარემოებების შეჯერებას და გაანალიზებას.
მოსამართლეობის კანდიდატი აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐	
მოსამართლეობის კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☒	

		,,საერთო სასამართლოების შესახებ'' ორგანული კანონის 36³ მუხლის პირველი პუნქტით დადგენილი კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მახასიათებლები: პიროვნული კეთილსინდისიერება და პროფესიული სინდისი; დამოუკიდებლობა, მიუკერძოებლობა და სამართლიანობა; პიროვნული და პროფესიული ქცევა; პიროვნული და პროფესიული რეპუტაცია; ფინანსური ვალდებულება; ***პიროვნული კეთილსინდისიერებისა და პროფესიული სინდისის მახასიათებლით*** - კანდიდატის შეფასებისას გაითვალისწინება პირის როგორც მოსამართლისა და მოქალაქის პატიოსნება, კეთილსინდისიერება, მოვალეობების და პასუხისმგებლობის შესაბამისი შეგნება, სიმართლისმოყვარეობა, გამჭვირვალობა, კორექტულობა და სიზუსტე, სამსახურეობრივი თუ სხვა მოვალეობების, ფინანსური თუ სხვა ვალდებულებების შესრულებისას (მაგ: ქონებრივი დეკლარაციის შევსებისას, ბანკის ან სხვა ვალის, კომუნალური ან სხვა გადასახადის გადახდისას, საგზაო მოძრაობის წესების დარღვევისათვის, ჯარიმის გადახდის დროს) და სხვა. მოძიებული ინფორმაციის თანახმად, კანდიდატის შემოსავლების დაუსაბუთებლობის ან უკანონობის ნიშნები არ გამოვლენილა. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის ინფორმაციით ბესარიონ ალავიძეს სახელმწიფო ბიუჯეტის მიმართ არ ერიცხება დავალიანება, კანდიდატს აქვს მიმდინარე სესხი,

		აქვს დადებითი საკრედიტო ისტორია. კანდიდატი მეწარმეთა და არასამეწარმეო იურიდიულ პირთა რეესტრში რეგისტრირებული არ არის. კანდიდატის მიერ შევსებული დეკლარაცია შეესაბამება კანონის მოთხოვნებს. შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო ანალიტიკური დეპარტამენტიდან წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, კანდიდატს დაუფიქსირდა რამდენიმე ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ფაქტი. ხსენებულ შემთხვევებში ადმინისტრაციული სამართალდარღვევისათვის გათვალისწინებული სახდელები (ჯარიმები) გადახდილია დროულად, კანონმდებლობით განსაზღვრულ ვადაში. გამოკითხული რესპოდენტები კანდიდატის პირად თვისებებს და პროფესიულ საქმიანობას იცნობენ კარგად. რესპოდენტების აზრით, კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს, გამოარჩევენ კანდიდატის ისეთ თვისებებს, როგორიცაა შრომისმოყვარეობა, პატიოსნება, დამოუკიდებლობა, მიუკერძოებლობა, ობიექტურობა და გულისხმიერება. ყოველივე ზემოაღნიშნულის გაანალიზების შედეგად მივიჩნევ, რომ კანდიდატი - ბესარონ ალავიძე აკმაყოფილებს პიროვნული კეთილსინდისიერებისა და პროფესიული სინდისის მახასიათებელს. *დამოუკიდებლობის, მიუკერძოებლობის და სამართლიანობის მახასიათებლით* - შეფასებისას

		გაითვალისწინება კანდიდატის პრინციპულობა, მის მიერ გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღების უნარი და ზეგავლენის მიმართ მედეგობა, პიროვნული სიმყარე და შეუვალობა, პოლიტიკური ან სხვა ნიშნით მიუკერძოებლობა. სამართლიანობა და სხვა. მოძიებული ინფორმაციის თანახმად, ბესარიონ ალავიძე არ ყოფილა არც ერთი პოლიტიკური პარტიის წევრი/მხარდამჭერი და შემომწირველი. გასაუბრების მიმდინარეობისას კანდიდატს არ გამოუხატავს რაიმე მიკერძოებული დამოკიდებულება სხვადასხვა ჯგუფების ან რაიმე შეხედულებათა მიმართ. რეკომენდატორები შეფასებისას გამოარჩევენ კანდიდატის ისეთ თვისებებს, როგორიცაა: პროფესიული კეთილსინდისიერება, ობიექტურობა, დამოუკიდებლობა, მიუკერძოებლობა, სიახლეებისადმი ინტერესი, დასაბუთების გასაგებად და ცხადად გადმოცემის უნარი, კომპეტენციის ამაღლებაზე მუდმივი ზრუნვა. საჯარო გასაუბრებისას კანდიდატის პასუხები იყო ღია და გულწრფელი, მიმაჩნია, რომ კანდიდატს დამოუკიდებლად შეუძლია ლოგიკური დასკვნების გაკეთება და საკუთარი პოზიციის დაცვა, ყოველივე ეს მაძლევს საფუძველს კანდიდატი კეთილსინდისიერების ამ მახასიათებლით შევაფასო დადებითად. *პიროვნული და პროფესიული ქცევის მახასიათებლით* - კანდიდატის შეფასებისას გაითვალისწინება მის მიერ სამოსამართლო ეთიკის დაცვა, მისი კორექტულობა

		კოლეგებთან და სხვა პირებთან ურთიერთობისას, მოსამართლის მაღალი წოდების შესაბამისი ქცევა და იმიჯი, თავდაჭერილობა, საკუთარი ემოციების მართვის უნარი, ქცევა მის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების მიმდინარეობისას, მხარედ მისი მონაწილეობით სასამართლოში წარმართული დავები, მის წინააღმდეგ სისხლისსამართლებრივი ბრალდებების არსებობა და სხვა. მოძიებული ინფორმაციის თანახმად, ბესარიონ ალავიძის მიმართ დისციპლინური დევნა არ დაწყებულა. ასევე, კანდიდატი დაზარალებულად წარმოდგენილი არ ყოფილა. კანდიდატის შესახებ რესპოდენტების და რეკომენდატორების მოსაზრებების, კოლეგების მხრიდან ურთიერთობების და საჯარო მოსმენის შედეგად მიღებული შთაბეჭდილებიდან გამომდინარე, მინდა აღვნიშნო, რომ ბესარიონ ალავიძე არის თავდაჯერებული, კორექტული, გაწონასწორებული პიროვნება. ყოველივე ზემოაღნიშნული მაძლევს იმის საფუძველს, რომ კანდიდატი კეთილსინდისიერების კრიტერიუმის ამ მახასიათებლით შევაფასო დადებითად. *პიროვნული და პროფესიული რეპუტაციის მახასიათებლით* - შეფასებისას მხედველობაში მიიღება კანდიდატის საქმიანი და მორალური რეპუტაცია, ავტორიტეტი იურიდიულ წრეებსა და საზოგადოებაში, იურიდიულ წრეებთან ურთიერთობის ხასიათი, ხარისხი

		და სხვა. მოძიებული ინფორმაციის თანახმად, რეკომენდატორების, პიროვნულ და პროფესიულ ურთიერთობაში მყოფი პირების დახასიათება-შეფასების მიხედვით, კანდიდატის სარგებლობს მაღალი პიროვნული და პროფესიული რეპუტაციით. აღნიშნული გარემოებები მაძლევს საფუძველს კანდიდატი კეთლსინდისიერების კრიტერიუმის ამ მახასიათებლით შევაფასო დადებითად. *ფინანსური ვალდებულების მახასიათებლით* - შეფასებისას გაითვალისწინება ინფორმაცია კანდიდატის შემოსავლის წყაროს, აქტივების, საკუთრებაში ან/და სარგებლობაში არსებული ქონების და ამ ქონებისა და შემოსავლის, შესაბამისი ვალისა და ვალდებულების შესახებ. მოძიებული ინფორმაციის თანახმად, ბესარიონ ალავიძეს საკრედიტო ან სხვა სახის მიმდინარე ვადაგადაცილებული ფინანსური, მათ შორის სახელმწიფო ბიუჯეტის მიმართ, ვალდებულება არ გააჩნია. კანდიდატი მეწარმეთა და არასამეწარმეო იურიდიულ პირთა რეესტრში რეგისტრირებული არ არის. შესაფასებელი პერიოდის განმავლობაში მის მიერ ჩადენილი ადმინისტრაციული სამართალდარღვევებისათვის შეფარდებული სახდელები ჯარიმის სახით კანდიდატს გადახდილი აქვს კანონმდებლობით განსაზღვრულ ვადაში. **საბოლოოდ, ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ვთვლი, რომ არ ვლინდება კანდიდატის კეთილსინდისიერების ეჭვქვეშ დაყენების რაიმე საფუძველი, შესაბამისად, მიმაჩნია, რომ ბესარიონ ალავიძე**

			სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს.
მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით			**კომენტარი**
კრიტერიუმი	**მიღებული ქულა**	**მაქსიმალური ქულა**	
სამართლის ნორმების ცოდნა	**16**	**20**	კომპეტენტურობის კრიტერიუმით უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატის - ბესარიონ ალავიძის შეფასებისას გავითვალისწინე ,,საერთო სასამართლოების შესახებ'' საქართველოს ორგანული კანონის 36[4] მუხლის მე-8 პუნქტით დადგენილი მახასიათებლები: 1. სამართლის ნორმების ცოდნა; 2. სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია; 3. წერის უნარი; 4. ზეპირი კომუნიკაციის უნარი; 5. პროფესიული თვისებები, მათ შორის ქცევა სასამართლო დარბაზში; 6. აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა; 7. პროფესიული აქტივობა; ამასთან კომპეტენტურობის კრიტერიუმით კანდიდატის შეფასებას საფუძვლად დაედო კანდიდატის შესახებ მოძიებული ინფორმაცია, კანდიდატის მიერ კონკურსის ფარგლებში წარმოდგენილი სამართლებრივი დოკუმენტები და საჯარო მოსმენის შედეგად მიღებული შთაბეჭდილებები. *სამართლის ნორმების ცოდნის მახასიათებლით* -

			შეფასებისას ყურადღება ექცევა კანდიდატის მიერ მატერიალური და საპროცესო სამართლის ნორმების, ასევე ადამიანის უფლებათა სამართლის, მათ შორის ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის ცოდნის დონეს. საჯარო გასაუბრების მიმდინარეობისას დასმულ შეკითხვებზე, როგორიცაა არბიტრაჟისა და მედიაციის განსხვავება, უზრუნველყოფის ღონისძიების სახეების გამოყენების შესაძლებლობა საარბიტრაჟო წარმოებისას, სუბროგაციისა და რეგრესის განსხვავება, მოთხოვნის უზრუნველყოფის საშულებები და მათი განსხვავება საბანკო გარანტიისგან, კანდიდატმა იმსჯელა თითოეულ საკითხთან დაკავშირებით და ამასთან ზოგიერთ საკითხზე მსჯელობა განამტკიცა თავისი სამოსამართლო პრაქტიკიდან გამომდინარე, რითაც გამოავლინა ცოდნა სამოქალაქო მატერიალური და საპროცესო სამართლის მიმართულებით. გასაუბრების ეტაპზე დასმულ შეკითხვებზე, როგორიცაა, ადმინისტრაციულ პროცესში რა შემთხვევაშია შესაძლებელი ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო საქმის განახლება, უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება მესამე პირებთან მიმართებით, ინკვიზიციური პრინციპის მნიშვნელობა ადმინისტრაციულ პროცესში, განსჯადობის პრობლემა კერძო და საჯარო ხელშეკრულებების დროს, კანდიდატის მიერ შეძლებისდაგვარად გაცემული იქნა პასუხები, თუმცა არასრულყოფილი და დამაჯერებელი. რაც მიქმნის შთაბეჭდილებას რომ კანდიდატის ცოდნის დონე

			ადმინისტრაციული მატერიალური და საპროცესო სამართალის მიმართულებით არ არის სათანადოდ მაღალი. კანდიდატს გაუჭირდა და ამასთან, შეინიშნებოდა კითხვების შინაარსიდან გამომდინარე დაბნეულობა კონსტიტუციისა და სამართლის თეორიიდან დასმული შეკითხვების მიმართ. ასევე, საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებებთან მიმართებით გაუცემელი პასუხებიდან გამომდინარე დამრჩა შთაბეჭდილება რომ კანდიდატი სათანადოდ არ იცნობს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკას. გასაუბრების მიმდინარეობისას მიუხედავად იმისა, რომ კანდიდატმა აღნიშნა სისხლის სამართლის მიმართულებით მუშაობის გამოცდილების შესახებ, ისეთ კითხვებზე როგორიცაა, ბრალდების მხარეს შეუძლია თუ არა უარი თქვას ბრალდებაზე მთლიანად ან ნაწილობრივ შეცვალოს ან შეამციროს აღნიშნული, რა ეტაპზე აქვს ამის უფლება და რომელ ინსტანციაში, სისხლის სამართლის პროცესში რას გულისხმობს ბრალდების უცვლელობის პრინციპი, სამოქალაქო შეთანხმების მნიშვნელობა სისხლის სამართალში, ფაქტობრივი და სამართლებრივი შეცდომის განსხვავებაზე პასუხები იყო ბუნდოვანი და არადამაჯერებელი. რაც შეეხება კანდიდატის ცოდნის დონეს საერთაშორისო სამართლის ნორმების, მათ შორის ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის და ადამიანის უფლებათა დაცვის კონვენციის ცოდნის კუთხით, კანდიდატმა ისაუბრა კონვენციის მეექვსე და

			მეცამეტე მუხლების განსხვავებაზე და მათ მნიშვნელობაზე, ასევე გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის უფლებაზე. კანდიდატმა თავისებური ხედვა წარმოადგინა კითხვაზე ბავშვის უფლება მშობლის ვინაობაზე ექცევა თუ არა მერვე მუხლის დაცვის ქვეშ, ასევე, შეძლებისდაგვარად ისაუბრა კონვენციიდან გამომდინარე დისკრიმინაციის დაცვის მნიშვნელობაზე შრომით სამართლებრივ დავებში. ჩატარებული გასაუბრებით დამრჩა შთაბეჭდილება, რომ კანდიდატი მეტნაკლებად იცნობს საერთაშორისო ნორმებს, თუმცა არასაკმარისი ცოდნა აქვს ევროპული სასამართლოს პრეცედენტული გადაწყვეტილებების. კანდიდატის მიერ წარმოდგენილი სასამართლო გადაწყვეტილებების ანალიზის და საჯარო გასაუბრების შედეგად მიღებული შთაბეჭდილების გათვალისწინებით ვთვლი, რომ ზესარიონ ალავიძე დამაკმაყოფილებელ დონეზე ფლობს სამოქალაქო და ადმინისტრაციულ მატერიალურ და საპროცესო კანონმდებლობას, ასევე მეტნაკლებად იცნობს ეროვნული სასამართლოს, მათ შორის ევროსასამართლოს პრაქტიკას.
სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია	16	20	***სამართლებრივი დასაბუთების უნარის და კომპეტენციის მახასიათებლით*** - მოსამართლის შეფასებისას გაითვალისწინება მის მიერ განხილულ საქმეებზე მიღებული გადაწყვეტილებების დასაბუთებულობა და დამაჯერებლობა, მოსამართლის ანალიტიკური აზროვნების უნარი და პროფესიული გამოცდილება. მიმაჩნია, რომ კანდიდატი მიერ წარმოდგენილ გადაწყვეტილებებში განვითარებული მსჯელობა არის

			თანმიმდევრული და დასაბუთებული. როგორც წარმოდგენილი გადაწყვეტილებებით, ასევე საჯარო გასაუბრების შედეგად მიღებული შთაბეჭდილებების გათვალისწინებით ნათელია, რომ ბესარიონ ალავიძეს აქვს სამართლებრივ საკითხებთან მიმართებით შესაბამისი დასკვნებისა და ადეკვატური გამოსავლის პოვნის უნარი. კანდიდატს - ბესარიონ ალავიძეს გააჩნია მოსამართლედ მუშაობის 12 წლიანი გამოცდილება. ის არის საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის ყოფილი მოსამართლე.
წერის უნარი	17	20	***წერის უნარის მახასიათებლით*** - მოსამართლის შეფასებისას გაითვალისწინება აზრის ნათლად და გასაგებად გადმოცემის, ლოგიკური მსჯელობისა და ანალიზის უნარი. კანდიდატის წერის უნარი შეფასებული იქნა კონკურსის ფარგლებში წარმოდგენილი სამართლებრივი დოკუმენტებით - კერძოდ, სამოქალაქო საქმეებზე მიღებული გადაწყვეტილებების ანალიზით. შედეგად უნდა ითქვას, რომ კანდიდატი გადაწყვეტილებებში თანმიმდევრულად ავითარებს ლოგიკურ მსჯელობებს. საკუთარ აზრს აყალიბებს ენობრივი და პროფესიული თვალსაზრისით გამართულად.
ზეპირი კომუნიკაციის უნარი	14	15	***ზეპირი კომუნიკაციის უნარის მახასიათებლით*** - მოსამართლის შეფასებისას გაითვალისწინება მისი გამართული მეტყველების უნარი. სხვისი აზრის მოთმინებით მოსმენის უნარი, ღიაობა, განსხვავებული აზრის მოსმენის უნარი და სხვა.

			საჯარო გასაუბრებით მიღებული შთაბეჭდილების შედეგად, უნდა აღინიშნოს, რომ ბესარიონ ალავიძე მეტყველებს გამართულად, ლაკონიურად, ნათლად გადმოსცემს აზრს და გააჩნია სხვისი აზრის, მათ შორის განსხვავებული აზრის მოსმენის უნარი. მის მიერ გამოთქმული მოსაზრებები არის ადვილად აღსაქმელი.
პროფესიული თვისებები, მათ შორის, ქცევა სასამართლო დარბაზში	15	15	***პროფესიული თვისებების, მათ შორის სასამართლო დარბაზში ქცევის მახასიათებლით*** - მოსამართლის შეფასებისას გაითვალიწინება მისი პუნქტუალობა, საქმის ჯეროვნად და პასუხიმგებლობით მომზადება, ასევე ქცევა სასამართლო სხდომის დარბაზში და სასამართლო სხდომის სათანადოდ წარმართვის უნარი, მისი ქცევა მხარეებთან ურთიერთობისას, გულმოდგინება და შრომისმოყვარეობა, გადაწყვეტილების დაუხმარებლად მიღებისა და დამოუკიდებელი აზროვნების უნარი. სტრესულ სიტუაციაში მუშაობის უნარი, მიზანდასახულობა, პროდუქტიულობა და სისწრაფე, საპროცესო ვადების დაცვა, მენეჯერული უნარ-ჩვევები და სხვა. ბესარიონ ალავიძე არის საქართველოს უზენაესი სასამართლოს ყოფილი მოსამართლე. მოძიებული ინფორმაციის თანახმად, სხდომებს იგი წარმართავდა თავდაჯერებულად, მშვიდად და სამოსამართლო ეთიკის ნორმების დაცვით. მისი მხრიდან სხდომაზე ქცევის წესების დარღვევისა და მოსამართლისათვის შეუფერებელი ქმედების, ჩადენის ფაქტი არ ყოფილა გამოვლენილი.
აკადემიური მიღწევები და პროფესიული	4	5	***აკადემიური მიღწევებისა და პროფესიული წვრთნის***

წვრთნა			*კუთხით* - მოსამართლის შეფასებისას გაითვალისწინება სიახლეების მიმართ მისი ღიაობა, თვითგანვითარების უნარი, საოფისე კულტურა ახალი ცოდნისა და უნარების შეძენის ინტერესი, პროფესიული წვრთნის პროგრამებში მონაწილეობა, შეძენილი ცოდნისა და უნარების პრაქტიკულ საქმიანობაში გამოყენება და სხვა. კანდიდატს ჩაბარებული აქვს მოსამართლის საკვალიფიკაციო გამოცდა სისხლის სამართლის სპეციალიზაციით. საჯარო გასაუბრებით მიღებული შთაბეჭდილების, რეკომენადტორების დახასიათების და კანდიდატის წვრთნის პროგრამებში მონაწილეობის გათვალისწინებით ვთვლი, რომ კანდიდატი არის ღია სიახლეების მიმართ და აქვს ახალი ცოდნის და საჭირო უნარების შეძენის ინტერესი. ბესარიონ ალავიძე არის სალექციო კურსის თანაავტორი მოქმედი მოსამართლეებისა და იუსტიციის უმაღლესი სკოლის მსმენელებისათვის - „კომუნიკაციების სტანდარტები სასამართლო სხდომის დარბაზში.“ იგი ეწეოდა პედაგოგიურ საქმიანობას იუსტიციის უმაღლეს სკოლაში, ხოლო ამჟამად არის სამართლისა და მართლმსაჯულების ტრენინგ ცენტრის ტრენერი. კანდიდატი არის საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის კომენტარების თანაავტორი, ასევე სამოქალაქო სამართალწარმოების აქტუალური საკითხების შესახებ სახელმძღვანელოს თანაავტორი.
პროფესიული აქტივობა	5	5	*პროფესიული აქტივობის მახასიათებლით*- მოსამართლის

			შეფასებისას გაითვალისწინება სამართლებრივი სისტემისა და მართლმსაჯულების საკითხებზე სხვადასხვა ფორმატის დისკუსიებში, შეხვედრებსა და სემინარებში მისი მონაწილეობა. საკუთარი პოზიციისა და შეხედულებების ღიად და თავისუფლად გამოხატვა. ინიციატივის გამოჩენის უნარი, იდეებისა და წინადადებების წამოყენება. სამეცნიერო და სხვა სახის პუბლიკაციები. დამსახურება იურიდიული პროფესიისა და და საზოგადოების წინაშე და სხვა. ბესარიონ ალავიძეს აქვს მონაწილეობა მიღებული სამართლებრივი ხასიათის არაერთ ღონისძიებასა და სემინარში, მათ შორის აღსანიშნავია: - ბავშვის უფლებათა კოდექსი - ტრენინგი; - რელაციის ტექნიკის გამოყენება სამოქალაქო სამართალწარმოების პროცესში; - გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება (GIZ) - ტრენინგი; - არბიტრაჟის დღეები საქართველოში - ტრენინგი; - მრავალმხრივი ტრენინგის პროგრამა ინგლისურენოვანი მოსამართლეებისათვის სამოქალაქო და კომერციულ დავებზე - ტრენინგი; - ევრო კონვენციის მე-16 დამატებითი ოქმის გამოყენება - ტრენინგი;
ქულათა ჯამი	**87**	**100**	
დასაბუთება			ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით მიმაჩნია, რომ უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის

			კანდიდატი - ბესარიონ ალავიძე სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს, რაც შეეხება კომპეტენტურობის კრიტერიუმს, კანდიდატს ჯამში ვაფასებ 87 ქულით.

სახელი, გვარი: **თემურ გოგოხია**

ხელმოწერა:

თარიღი: 22.11.2021